მიღებულია

პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 01 07/09/2021წ

დამტკიცებულია:
გიმნაზიის რექტორის მიერ
ბრძანება №73/003 - ა

წყალტუბო 09/09/2021წ

ქუთათელ-გაენათელი

მიტროპოლიტი: /იოანე გამრეკელი/

ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის

მშობლებთან ურთიერთობის

დებულება

სარჩევი

მუხლი 1. შესავალი 2

მუხლი 2. ზოგადი დებულებები 2

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები 2

მუხლი 4. მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი 4

მუხლი 5. მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია 4

მუხლი 6. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები 4

მუხლი 7. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები 5

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები 5

მუხლი 1. შესავალი

წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. იმისათვის, რომ მასწავლებელსა და მშობელს შორის ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია შედგეს, პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი მასწავლებელმა უნდა გადადგას.

მასწავლებელი ის შუალედური რგოლია, რომელიც სკოლას და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს. მას შეუძლია, კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მშობელი ჩართოს სასწავლო პროცესში და თავის მოკავშირედ აქციოს. მათ ერთი მიზანი ამოძრავებთ - ბავშვის წარმატება და მისი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის წყალტუბოს სასულიერო გიმნაზიის (შემდგომში „გიმნაზია“) მოსწავლის მშობლად/კანონიერ წარმომადგენლად იწოდება მას შემდეგ, რაც მოსწავლე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხება შესაბამის კლასში.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. გიმნაზიასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს წარმოეშობათ ურთიერთვალდებულებები.
   1.1. **გიმნაზია ვალდებულია:**
   - სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლე უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი;
   - სისტემატურად აკონტროლოს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე დასწრება;
   - მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ;
   - უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმისა და გიმნაზიის მისიის შესაბამისად წარმართვა;
   - სასწავლო ოთახები აღჭურვოს სასწავლო ინვენტარით, სასწავლო რესურსებით, ტექნიკური და მეთოდური საშუალებებით, რაც აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესრულებისათვის;
   - იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები;
   - შექმნას ეფექტური, უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო გიმნაზიაში;
   - მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით;
   - მოსწავლეზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზოს შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს შესაბამისი სამსახურების ინფორმირება.
   - დაიცვას მოსწავლის, მშობლის და გიმნაზიის თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები.

1.2. გიმნაზიას უფლება აქვს:

მოსთხოვოს მშობელს/წარმომადგენელს გიმნაზიის შინაგანაწესითა და ხელშერულებით დადგენილი ნორმების დაცვა;

არ დაუშვას მშობელი/წარმომადგენელი გიმნაზიაში შინაგანაწესით ნებადართული მიღების საათებისა და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა;

სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას საიმედო ადგილზე შეინახოს მოსწავლის ნივთები (არასასწავლო/გასართობი/აზარტული საშუალებები და სხვ.), რომელიც ხელს უშლის სასწავლო პროცესის წარმართვას და დააბრუნოს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ;

დაითხოვოს მოსწავლე დროებით ან გარიცხოს (საშუალო საფეხურის მოსწავლის შემთხვევაში) სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევაში;

მოუწოდოს მშობელს/წარმომადგენელს ჩაერთოს საგიმნაზიო ცხოვრებაში, მიიღოს მონაწილეობა გიმნაზიის ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში;

1.3. მშობელი/წარმომადგენელი ვალდებულია:

დაიცვას გიმნაზიის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმები;

იყოს კორექტული, საერთო მიზნების მიღწევისთვის ითანამშრომლოს სკოლასთან და შეინარჩუნოს კეთილგანწყობა გიმნაზიისა და მისი თანამშრომლების მიმართ;

დაიცვას სხვისი პერსონალური მონაცემები;

მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიური კავშირი იქონიოს კლასის დამრიგებელთან და გიმნაზიის ადმინისტრაციასთან.

მოსწავლე გიმნაზიაში გამოუშვას შინაგანაწესით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სასწავლო ნივთებითა და გიმნაზიის მიერ დადგენილი ფორმით აღჭურვილი; ყურადღება მიაქციოს, რომ არ ატაროს სკოლის შინაგანაწესით აკრძალული ნივთები (სწავლისათვის შეუსაბამო ტექნიკური საშუალებები, ცივი იარაღი და ა.შ. აკრძალული ნივთები დეტალურადაა განსაზღვრული სკოლის შინაგანაწესით);

დაესწროს გიმნაზიაში დაგეგმილ ღონისძიებებს და აქტივობებს, მათ შორის, მშობელთა კრებებს. მშობელთა კრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებლობის მიზეზი წინასწარ შეატყობინოს კლასის დამრიგებელს;

ნებისმიერი პრობლემა და გაუგებრობა გაარკვიოს მოსწავლის კლასის დამრიგებელთან ან/და გიმნაზიის ადმინისტრაციასთან;

გადამდები დაავადების შემთხვევაში სკოლაში არ მოიყვანოს მოსწავლე და დამრიგებელს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ;

არ გააცდენინოს მოსწავლეს სასწავლო დღე არასაპატიო მიზეზით. წინასწარ აცნობოს დამრიგებელს მოსალოდნელი გაცდენის შესახებ;

თავი შეიკავოს და გიმნაზიის ნებისმიერი მოსწავლის, მშობლის/წარმომადგენლის ან თანამშრომლის შეურაცხყოფისაგან, ასევე, მასწავლებლისა და გიმნაზიის ავტორიტეტის შელახვისაგან;

აანაზღაუროს მოსწავლის მიერ დაზიანებული სასკოლო ინვენტარის ან ტექნიკის ღირებულება გიმნაზიის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე;

მოსწავლის ამორიცხვის/გარიცხვის/სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, გიმნაზიას დაუყოვნებლივ დაუბრუნოს გადაცემული სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელოები),მასთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად;

გიმნაზიის ადმინისტრაციის მოთხოვნისამებრ გამოცხადდეს გიმნაზიაში;

მონაწილეობა მიიღოს გიმნაზიის მიერ ორგანიზებულ ექსკურსიებსა თუ სხვადასხვა გასვლით ღონისძიებებს და ზედამხედველობა გაუწიოს მოსწავლის ქმედებებს. დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული წინასწარ შეატყობინოს კლასის დამრიგებელს;

შეატყობინოს გიმნაზიას საკონტაქტო ინფორმაციის (საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი) ცვლილების შესახებ;

1.4. **მშობელს/წარმომადგენელს უფლება აქვს:**

მოითხოვოს გიმნაზიისაგან სასწავლო პროცესის წარმართვა მაღალკვალიფიციურად;
მოითხოვოს გიმნაზიისგან მოსწავლისადმი სამართლიანი, ობიექტური და თავაზიანი დამოკიდებულება;
მოითხოვოს საგნების მიხედვით მოსწავლის ობიექტური შეფასება.

მუხლი 4. მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი

1. მშობელი გიმნაზიაში ცხადდება დირექციის, დამრიგებლის ან საგნის მასწავლებლის მოწვევით.
2. ყოველი კვირის პარასკევს მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ.
3. თუ მშობელი საჭიროდ მიიჩნევს დამატებით რომელიმე საგნის მასწავლებელთან გასაუბრებას, ამ შემთხვევაში დამრიგებელი უზრუნველყოფს მათ შეხვედრას.

მუხლი 5. მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია

1. მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაცია და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირება ხდება:
   1.1. მშობელთა კრებაზე (ზოგადი მიმოხილვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვით);
   1.2. Edupage-პლატფორმის მეშვეობით ონლაინ ფორმატში;
   1.3. ყოველდღიური კომენტარებით I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში;
   1.4. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს;
   1.5. ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით.
   1.6. სოციალური ქსელის მეშვეობით, სადაც მშობლებისათვის შექმნილია თითოეული კლასის დახურული ჯგუფი, სადაც სისტემატურად თავსდება მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალური საკითხები (გარდა აკადემიური მოსწრებისა).
2. საგნის მასწავლებელთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე (მასწავლებელი მშობელთან პირადი ურთიერთობის დროს, უფლებამოსილია მშობელს გააცნოს შვილის აკადემიური მოსწრება, მხოლოდ იმ სასწავლო საგანში რომელსაც ასწავლის);
3. მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პირად ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან გიმნაზიის ადმინისტრაციის წევრი ინდივიდუალურად აცნობს მშობელს;

მუხლი 6. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები

1. გიმნაზიის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება მშობელთა კრებებზე კლასის დამრიგებლის მეშვეობით;
2. თითოეულ კლასში მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს; მშობელთა კრებისათვის ყველა დამრიგებელი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს, რომელიც გიმნაზიის ადმინისტრაციასთან უნდა შეათანხმოს.
3. მშობელთა რიგგარეშე კრების მოწვევა საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია კლასის დამრიგებელს ან გიმნაზიის ადმინისტრაციას.
4. საგნის მასწავლებელს და გიმნაზიის ადმინისტრაციასთან ან კლასის დამრიგებელთან შეთანხმებით უფლება აქვს გამოიძახოს მშობელი;

5. მშობლებთან ურთიერთობის ფორმას თვით პედაგოგი და დამრიგებელი ირჩევს სიტუაციის შესაბამისად.
6. მშობელთან ურთიერთობის დროს (მიმოწერისას ან საუბრისას) მოსწავლის დადებითი მხარეების წარმოჩენით უნდა იწყებოდეს, რასაც შეიძლება სხვადასხვა სახის პრობლემების განხილვა მოჰყვეს.
7. მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს დაუშვებელია მოსწავლის პიროვნული ღირსებების შელახვა, უხეშობა. შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებლად პოზიტიურიდან პრობლემისაკენ მიმართული;
8. სასწავლო წლის დასაწყისშივე უნდა მოხდეს მოსწავლისა და მშობლის ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ.
9. მშობელი ჩართული უნდა იყოს საგიმნაზიო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს გიმნაზიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში.

მუხლი 7. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

1. გიმნაზია ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ აწარმოოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:
   1.1. მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;
   1.2. შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;
   1.3. ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
   1.4. ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
   1.5. ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
   1.6. ჯანსაღი ცხოვრების წესი;
   1.7. პერსონალური მონაცემების დაცვა;
   1.8. სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.
2. გიმნაზიამ სწავლისდაწყებიდან 10 დღის ვადაში, მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, დასწრებით ან ონლაინ ფორმატში, დამრიგებლების მეშვეობით უნდა მოაწყოს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცხელი ხაზის შესახებ.
3. სკოლა სასწავლო პროცესის განახლებამდე მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, დასწრებით ან ონლაინ ფორმატში, დამრიგებლების მეშვეობით უნდა მოაწყოს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და მიაწოდოს ინფორმაცია **„პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმის შესახებ”,** რომელშიც გაწერილია პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული გეგმის ფარგლებში სკოლამ მასწავლებლებს, თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უნდა ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი და გააცნო წესები.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია გიმნაზიის რექტორის ბრძანებით.
8.2. დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება გიმნაზიის რექტორის ბრძანების საფუძველზე.